

## რეკომენდაცია

**შესაძლებლობის შეზღუდვის სახის ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შესახებ**

*შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20<sup>1</sup> და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად*

ბატონო გიორგი,

2017 წლის 21 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველს N12347/17 განცხადებით მომართა საქართველოს მოქალაქე ზ. კ-მ, რომლის ინტერესებს წარმოადგენს ააიპ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტი გ. ა. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ იგი, როგორც მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, არის დისკრიმინაციის მსხვერპლი, ვინაიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით, როგორც მძღოლი ვედარ სარგებლობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის გამოყოფილი, ავტომანქანის პარკირების სპეციალური ადგილით.

### 1. ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებელი ზ. კ. არის მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. განცხადების თანახმად, მას გააჩნია მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები, გადატანილი აქვს ინსულტი, მოიხმარს ინსულინს და პარალიზებული აქვს ცალი მხარე, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად ურთულებს ფეხით გადაადგილებას.

განცხადების თანახმად, ზ. კ., როგორც მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (მნიშვნელოვნად გამოხატული პარეზი), საკუთარი ავტომანქანით გადაადგილებისას სარგებლობდა საკრებულოს შესაბამისი დადგენილების საფუძველზე გაცემული სპეციალური საცნობი ნიშნით, რაც მას შესაძლებლობას აძლევდა მანქანა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის განკუთვნილ პარკირების ადგილზე გაეჩერებინა, ეს კი, თავის მხრივ, ქალაქში არსებული გადატვირთული მოძრაობის ფონზე, საკმაოდ დიდ შეღავათს წარმოადგენდა და განმცხადებელს უადვილებდა, მათ შორის, მისი ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვან სამკურნალო დაწესებულებებამდე მისვლას.

მას შემდეგ, რაც განმცხადებელზე გაცემულ საცნობ ნიშანს ვადა გაუვიდა, 2017 წლის 25 აპრილს, მან კვლავ მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს და მოითხოვა საცნობი ნიშნის გაცემა, რაზეც უარი მიიღო. განმცხადებლის ინფორმაციით, მერიის

პასუხში მითითებული იყო, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების ახალი წესი, რომლის მიხედვით, საცნობი ნიშნის მისაღებად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ვალდებულია წარადგინოს ფორმა N IV-50/2, რომელიც, მხოლოდ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე გაიცემა.

ამრიგად, განმცხადებელი თვლის, რომ განხორციელებული ცვლილებების შედეგად, მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს წაერთვათ უფლება ისარგებლონ აღნიშნული შეღავათით, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია მათი საზოგადოების სრულფასოვან წევრებად ინტეგრაციისათვის. შესაბამისად, ზ. კ. მიიჩნევს, რომ იგი, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან შედარებით, დისკრიმინაციულ მდგომარეობაშია, ვინაიდან, მხედველობაში არ მიიღება მისი ჯანმრთელობის რეალური მდგომარეობა, რაც ფეხით გადაადგილების მნიშვნელოვან შეზღუდვაში გამოიხატება.

საქმის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, 2017 წლის 13 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან გამოითხოვა ინფორმაცია, თუ რამ განაპირობა 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილების საფუძველზე, განმცხადებლისათვის გათვალისწინებული შეღავათის გაუქმება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის 2017 წლის 21 სექტემბერის წერილში აღნიშნულია, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია მუშაობდა „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის პროექტზე, მათ შორის, განსახილველ განცხადებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. წერილში ასევე აღნიშნულია, რომ მას შემდეგ, რაც დადგენილების ცვლილების პროექტი განხილული იქნებოდა იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომაზე, იგი წარედგინებოდა საკრებულოს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მიერ საქართველოს სახალხო დამცველისადმი 2017 წლის 19 ოქტომბერს გამოგზავნილ წერილში კი ასევე აღნიშნულია, რომ მის მიერ შემუშავებულ იქნა „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებით განსაზღვრულ წესში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომლითაც შესაბამისი შეღავათების

მოქმედება უნდა გავრცელებულიყო არა მხოლოდ მკვეთრად გამოხატული, არამედ, ასევე, მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზეც.

საქართველოს სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტმა 2018 წლის 29 იანვარს კვლავ მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მისი 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებით განსაზღვრულ წესში შესატანი, წინა წერილებში აღნიშნული ცვლილებების თაობაზე. დასახელებული წერილის პასუხად, საკრებულოს 2018 წლის 20 თებერვლის წერილში აღნიშნულია, რომ მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.

იმავე წერილში ასევე მითითებულია, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 13 იანვრის №1/ნ ბრძანებით დამტკიცებული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ ინსტრუქციის მიხედვით, დადგენილია შესაძლებლობის შეზღუდვის განსაზღვრის კრიტერიუმები, რომლითაც გამიჯნულია მკვეთრად, მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი.

ქალაქ თბილისის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ბოლო წერილის თანახმად, იმის გათვალისწინებით, რომ თავად მოქმედი კანონმდებლობა მიჯნავს და სიმძიმის ხარისხის მიხედვით განასხვავებს შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსს, ინსტრუქციით გათვალისწინებულ, მკვეთრად, მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის განსხვავებული შეღავათების დადგენა არ წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებულ დისკრიმინაციას და, შესაბამისად, ვერ ჩაითვლება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის დარღვევად.

საკრებულოს წერილის თანახმად, 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებით გათვალისწინებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საცნობი ნიშნის გაცემის მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ იმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომელთა შესაძლებლობის შეზღუდვის ხარისხი და სიმძიმე განაპირობებს ტრანსპორტირებისას დახმარების განსაკუთრებულ აუცილებლობას, მიეცეთ საშუალება, ისარგებლონ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილი შეღავათით. კომისიის თავმჯდომარის აზრით, სწორედ ასეთი სიმძიმის და ხარისხის შეზღუდვას წარმოადგენს „... ქმედობაუნარიანობის მკვეთრად გამოხატული შეზღუდვა (მაგ. თვითმომსახურებისა და გადაადგილების უნარების მესამე, (ყველაზე მაღალი) ხარისხის შეზღუდვა)“. ამასთან, მოპასუხე მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული მიდგომა დისკრიმინაციად არ ჩაითვლება, რადგან ის ფაქტი, რომ ხსენებული პირები „...არ წარმოადგენენ არსებითად თანასწორ პირებს, N1/ნ ბრძანებითაა რეგლამენტირებული...“. შესაბამისად, „...მკვეთრად, ზომიერად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები როგორც ფაქტობრივი

მდგომარეობის, ისე საკანონმდებლო რეგულაციების მიხედვით ... ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ პირებად ვერ ჩაითვლებიან, მათი ანატომიური და გონებრივი მდგომარეობის გამო.“.

ამასთან, მოპასუხე მხარის განმარტებით, მართალია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №33-99 დადგენილება შეღავათის მინიჭების დროს ეყრდნობა გარკვეულ დიფერენციაციას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შორის, თუმცა, მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს დისკრიმინაციული დიფერენციაცია და ობიექტური მდგომარეობით განპირობებული დიფერენციაცია. დისკრიმინაციას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც დიფერენციაციის მიზეზები აუხსნელია და მოკლებულია გონივრულ საფუძველს, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, საკრებულოს აქტით გათვალისწინებული დიფერენცირება არის არა თვითმიზნური, გაუმართლებელი დიფერენციაცია, არამედ, მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით გამოცემული აქტი, რომელიც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 13 იანვრის N1/ნ ბრძანებით განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით აწესებს შეღავათს იმ პირთა წრის მიმართ, რომლებიც ფაქტობრივი მოცემულობებიდან გამომდინარე, ობიექტურად უფრო მაღალი ხარისხის მზრუნველობას და შესაბამისად შეღავათებს საჭიროებენ.

## **2. სამართლებრივი შეფასება**

### *2.1. ზოგადი დებულებები*

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი, რომელიც, თავის მხრივ, შეისწავლის დისკრიმინაციის კონკრეტულ ფაქტებს და გამოსცემს რეკომენდაციებს ან ამზადებს და შესაბამის დაწესებულებას ან პირს უგზავნის ზოგად წინადადებებს დისკრიმინაციის თავიდან აცილების და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე.

ზემოაღნიშნული კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი განმარტავს, რომ თუ სახალხო დამცველის მიერ განცხადების/საჩივრის განხილვის შედეგად დადასტურდა დისკრიმინაციის ფაქტი და დისკრიმინაციის შედეგები არ არის აღმოფხვრილი, სახალხო დამცველი საქმის გარემოებების გათვალისწინებით ასრულებს საქმის წარმოებას, დარღვეული თანასწორობის აღსადგენად ღონისძიებების განხორციელების შესახებ შესაბამისი რეკომენდაციის გამოცემით.

უნდა აღინიშნოს, რომ თანასწორობის უფლება გარანტირებულია როგორც ეროვნული კანონმდებლობით, ისე საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ ნორმა-პრინციპს, რომელიც გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მის მიზანს.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N 1/1/493, II,1.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.

იმავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით კი, პირდაპირი დისკრიმინაციაა ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნას, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას, ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო, არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთ შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები კი, ასეთი მიზნის მიღწევის თანაზომიერია.

განხილული საკანონმდებლო დებულებების შინაარსიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს *ხელი ემლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობისას, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ*, არ არსებობს *კანონით განსაზღვრული მიზანი*, განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს *ობიექტური და გონივრული გამართლება* და იგი დასახული მიზნის *არაპროპორციული*, მაშასადამე არა თანაზომიერია.

იგივე პრინციპი გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან. ევროპული სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ საკითხი მოექცეს კონვენციის მე-14 მუხლით დაცულ სფეროში, აუცილებელია, რომ *განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ*. განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუ მას არ აქვს *ობიექტური და გონივრული გამართლება*, ე.ი. არ ისახავს *კანონიერ მიზანს* და არ არსებობს *პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის*.<sup>2</sup>

## 2.2. კანონით გათვალისწინებული უფლება, რომელიც შეეზღუდა განმცხადებელს

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ზ. კ. 2017 წლის 25 აპრილამდე სარგებლობდა ქალაქ თბილისის მერიის მიერ, „ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების შესახებ“ თბილისის საკრებულოს 2007 წლის 3 აგვისტოს N 9-48 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების წესის“ მე-9 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე გაცემული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ავტოსატრანსპორტო საშუალების საცნობი ნიშნით,

---

<sup>2</sup> ECtHR, *Eweida and others v. United Kingdom*, nos: 48420/10, 59842/10, 51671/10, 36516/10, 15/01/2013, § 87-88; *Burden v. United Kingdom*, no: 13378/05, 29/04/2008, 29/04/2008, § 60

რომლითაც მას ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალური პარკირების ადგილით სარგებლობა შეეძლო.

ზემოაღნიშნული წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი, ამავე წესის სხვა ნორმებთან ერთად, ბათილად იქნა ცნობილი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 12 ივლისის (საქმე N 3/9633-15) გადაწყვეტილებით, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ, 2016 წლის 27 დეკემბერს, დღეს მოქმედი, სადავო წესის დამტკიცება. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების ახალი წესის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, საცნობი ნიშანი უკვე გაცივმა მხოლოდ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე, ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე იმ პირებზე, რომლებსაც ქვედა კიდურის ამპუტაცია აქვთ.

ამრიგად, ზ. კ., ამჟამად მოქმედი რეგულაციით, **ველარ სარგებლობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, შესაბამისი ნორმატიული აქტით გათვალისწინებული პარკირების სადგომის გამოყენების უფლებით**, რომელიც მას „ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების შესახებ“ თბილისის საკრებულოს 2007 წლის 3 აგვისტოს N 9-48 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების წესის“ მე-9 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე ჰქონდა მინიჭებული.

ზემოაღნიშნულის თვალსაზრისით, განმცხადებელი მიუთითებს, გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის<sup>3</sup> მე-9 მუხლზე, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უზრუნველყოფს **მისაწვდომობის უფლებით**. კერძოდ, ამ ნორმის შესაბამისად, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და ცხოვრების ყველა სფეროში მათი **სრულყოფილი** მონაწილეობისათვის, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები, რათა უზრუნველყონ ფიზიკური გარემოს, ტრანსპორტის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის, მათ შორის, ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და სისტემების, ასევე სხვა, საზოგადოებისათვის ღია ობიექტებისა და მომსახურებების თანაბარი მისაწვდომობა როგორც ქალაქის, ასევე სოფლის პირობებში. აღნიშნული ღონისძიებები, რომლებიც მოიცავენ არსებული წინააღმდეგობებისა და ბარიერების გამოვლენა-ადმოფხვრას, შეეხება: ა. შენობა-ნაგებობებს, გზებს, **ტრანსპორტს**, შიდა და გარე ობიექტებს, სკოლებს, საცხოვრებელ სახლებს, სამედიცინო დაწესებულებებსა და სამუშაო ადგილებს; ბ. ინფორმაციას, კომუნიკაციასა და სხვა სამსახურებს, ელექტრონულ და სასწრაფო-საავარიო სამსახურებს.“.

<sup>3</sup> გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, ძალაშია: 2008 წლის 3 მაისი; საქართველოსთვის ძალაშია: 2014 წლის 13 მარტი

აქედან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველი ე.წ. სპეციალური პარკირების ადგილებით სარგებლობის უფლებას მოიაზრებს *მისაწვდომობის* ფართო უფლების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ შესაბამისი სიკეთეებით სათანადოდ სარგებლობა. ამდენად, სპეციალური პარკირების ადგილებით სარგებლობის გაუმართლებელი და არამართლზომიერი შეზღუდვა, თავისთავად, ნეგატიურად აისახება მისაწვდომობის ფართო უფლებით ეფექტურ სარგებლობაზე.

### *2.3. ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირებისადმი განსხვავებული მოპყრობა*

განსახილველ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა უნდა გაირკვეს, ე.წ. სპეციალური პარკირების ადგილით სარგებლობის მიზნისთვის წარმოადგენენ თუ არა, მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფ პირებს.

როგორც უკვე აღინიშნა, მოპასუხე მხარე 2018 წლის 20 თებერვალს სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტისადმი გამოგზავნილ წერილში მიუთითებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 13 იანვრის N 1/5 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაზე, რომლის მიხედვით, ერთმანეთისგან გამიჯნულია მკვეთრად, მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი. შესაბამისად, მოპასუხე აცხადებს, რომ თავად მოქმედი კანონმდებლობა მიჯნავს და სიმძიმის ხარისხის მიხედვით, ერთმანეთისაგან განასხვავებს შესაძლებლობის შეზღუდვის სხვადასხვა სტატუსს. ამიტომ, მისი აზრით, „...მკვეთრად, მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის განსხვავებული შეღავათების დადგენა არ წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებულ დისკრიმინაციას...“.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ სპეციალური პარკირების ადგილით სარგებლობის მიზნისთვის, თავდაპირველად, სწორედ ქალაქ თბილისის საკრებულომ, მისი 2007 წლის 3 აგვისტოს N 9-48 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების წესის“ საფუძველზე, ერთმანეთთან გაათანაბრა არა მხოლოდ მკვეთრად და მნიშვნელოვნად, არამედ, ასევე ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. კერძოდ, როგორც ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ძველი წესის მე-9 მუხლის პირველ პუნქტში ვკითხულობთ, *საცნობი ნიშნის მისაღებად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს უნდა მიემართა ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურისთვის და წარედგინა პირის ზომიერად, მნიშვნელოვნად ან მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი ცნობა, ავტოსატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო მოწმობის ქსეროასლი, აგრეთვე ყველა სხვა ინფორმაცია, რომელსაც სამსახური მიზანშეწონილად ჩათვლიდა.* ამდენად, ბათილად ცნობილი წესი, შეზღუდული შესაძლებლობის პირებს, ერთმანეთთან ათანაბრებდა მათთვის სპეციალური პარკირების სადგომით სარგებლობის ობიექტური საჭიროების და არა შესაძლებლობის შეზღუდვის სიმძიმის ხარისხის მიხედვით.

მხედველობაშია მისაღები აგრეთვე „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი განმარტებულია, როგორც, „... პირი მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევებით, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში“. მაშასადამე, შეზღუდული შესაძლებლობის განსაზღვრისას გადამწყვეტია ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევების არა მხოლოდ არსებობა, არამედ, საზოგადოებაში არსებულ სხვადასხვა დაბრკოლებასთან მათი ურთიერთქმედება, რომლის საფუძველზეც უნდა განისაზღვროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესაბამისი სოციალური საჭიროებები და განხორციელდეს მათი, ამ საჭიროებების ადეკვატური პირობებით უზრუნველყოფა. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სწორედ ზემოაღნიშნული მიდგომით, ინდივიდუალურად უნდა გადაწყდეს, მათ შორის, სპეციალური სადგომით სარგებლობის საჭიროების საკითხიც. ამგვარი მიდგომა, შეიძლება ითქვას, უფრო მეტად შეესაბამება შეზღუდული შესაძლებლობის შეფასების *სოციალურ მოდელს*, რომლის თანახმად, *შეზღუდული შესაძლებლობა წარმოადგენს არა იმდენად სამედიცინო, არამედ, სოციალურად განპირობებულ გამოწვევას, რასაც პასუხი, სათანადო სოციალური პოლიტიკისა და ერთგვარი პოზიტიური ღონისძიებების გატარების მეშვეობით უნდა გაეცეს*.<sup>4</sup>

ამ თვალსაზრისით, მხედველობაშია მისაღები „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების *ახალი* წესის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად, საცნობი ნიშნის მისაღებად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, ვალდებულია წერილობითი ფორმით მიმართოს შესაბამის სამსახურს და მას დაურთოს მისი მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი ცნობა, *ან დოკუმენტი, რომლითაც დგინდება, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს აქვს ქვედა კიდურის ამპუტაცია*. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 13 იანვრის N 1/5 ბრძანებით დამტკიცებული „შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად, მხოლოდ ქვედა კიდურის ამპუტაცია, დამოუკიდებლად, შეიძლება არ წარმოადგენდეს შესაბამისი პირისთვის მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის კატეგორიის მინიჭების საფუძველს, სწორედ ამიტომ გამოყოფს ამ ფაქტორს სადავო წესი და ცალკე მიუთითებს ქვედა კიდურის ამპუტაციის შემთხვევაში, პარკირების სპეციალური ადგილით სარგებლობის საჭიროებაზე.

---

<sup>4</sup> Towards a Common Language for Functioning, Disability and Health ICF. World Health Organization. Geneva 2002. P. 9.



ამრიგად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ სპეციალური პარკირების ადგილით სარგებლობის მიზნისთვის, შესაბამისი პირები ერთმანეთთან უნდა გავათანაბროთ არა იმდენად მათთვის მინიჭებული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის, არამედ, სპეციალური პარკირების ადგილით სარგებლობის რეალური საჭიროების მიხედვით.

სახალხო დამცველი ვერ გაიზიარებს მოპასუხის მოსაზრებას, რომლის შესაბამისად, პარკირების სპეციალური ადგილით სარგებლობის თვალსაზრისით, ერთმანეთთან არის შედარებული მკვეთრად გამოხატული და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. მიგვაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელი უფრო მეტად შედარებადია პარკირების ახალი წესის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირთან, რომელსაც დადგენილი აქვს ქვედა კიდურის ამპუტაცია და, რომელიც არ წარმოადგენს მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, თუმცა, ამ პირებთან ერთად, საჭიროებიდან გამომდინარე, სარგებლობს პარკირების სპეციალური ადგილით. მაშასადამე, არა იმდენად შეზღუდული შესაძლებლობის ფორმალური სტატუსი განაპირობებს ამ უფლებით სარგებლობის საფუძველს, არამედ, სპეციალური პარკირების სადგომით სარგებლობის რეალური საჭიროება განსაზღვრავს მას.

მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ განმცხადებელს გააჩნია მნიშვნელოვნად გამოხატული პარეზი, რაც მის ფიზიკურ მდგომარეობას - რომელსაც შესაბამის ბარიერებთან, პარეზით გამოწვეული შეზღუდვის ურთიერთქმედება განაპირობებს - კიდევ უფრო აახლოებს ქვედა კიდურის ამპუტაციის მქონე პირების მდგომარეობასა და მათ სოციალურ საჭიროებებთან.

#### *2.4. ლეგიტიმური მიზანი და განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული დასაბუთება*

როგორ აღინიშნა, ზ. კ. სარგებლობდა ქალაქ თბილისის მერიის მიერ, საკრებულოს შესაბამისი დადგენილებების საფუძველზე გაცემული სპეციალური საცნობი ნიშნით, თუმცა, როდესაც განმცხადებელზე გაცემულ ნიშანს ვადა გაუვიდა და მან კვლავ მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს და მოითხოვა ნიშნის გაცემა, უარი მიიღო. განმცხადებლის ინფორმაციით, მერიის პასუხში მითითებული იყო, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების ახალი წესი, რომლის მიხედვით საცნობი ნიშნის მისაღებად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ვალდებულია წარადგინოს ფორმა N IV-50/2, რომელიც, მხოლოდ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე გაცემა.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, *პირმა საქართველოს სახალხო დამცველს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების*

ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების განმახორციელებელ პირს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტმა, რამდენჯერმე, წერილობით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მოითხოვა განმარტება განმცხადებლის მიერ დაყენებულ საკითხთან დაკავშირებით.

როგორც მოპასუხის 2018 წლის 20 თებერვლის საპასუხო წერილშია აღნიშნული, დადგენილების მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ იმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომელთა შესაძლებლობის შეზღუდვის ხარისხი და სიმძიმე განაპირობებს ტრანსპორტირებისას დახმარების განსაკუთრებულ აუცილებლობას, მიეცეთ საშუალება, ისარგებლონ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილი შეღავათით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხე მხარის წარმომადგენელი, თავის 2018 წლის 23 მაისის წერილში ასევე მიუთითებს, რომ დადგენილებით გათვალისწინებული სპეციალური პარკირების ადგილით სარგებლობის უფლების გავრცელებამ სხვა, ხარისხობრივად უფრო მსუბუქი, ჯანმრთელობის დარღვევების მქონე პირებზე, არსებული რეალობის პირობებში **შესაძლოა, რიგ შემთხვევებში, გარკვეულწილად, შეზღუდოს და ხელი შეუშალოს** იმ პირთა წრისთვის მინიჭებული უფლების შეუფერხებელ რეალიზაციას, რომლებიც, როგორც საკანონმდებლო, ისე ფაქტობრივი მოცემულობიდან გამომდინარე, უფრო მაღალი ხარისხის მზრუნველობას საჭიროებენ და სწორედ ამის გამო, სადავო დებულების სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სპეციალური პარკირების ადგილებით შეუფერხებელი სარგებლობა უდავოდ წარმოადგენს მნიშვნელოვან ლეგიტიმურ მიზანს. მიუხედავად ამისა, უნდა შეფასდეს, რამდენად წარმოადგენს სადავო დადგენილების საფუძველზე განმცხადებლის ავტომატური გამორიცხვა სპეციალური პარკირების ადგილით მოსარგებლეთა წრიდან, ზემოაღნიშნული ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ადეკვატურ საშუალებას და რამდენად პროპორციულია განმცხადებლის უფლების შეზღუდვა ამ მიზნის მისაღწევად.

როგორც აღინიშნა, პარკირების ძველი წესი სპეციალური პარკირების ადგილით სარგებლობის უფლებას ითვალისწინებდა ნებისმიერი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ, რომლებიც ქალაქ თბილისის მერიაში წარადგენდნენ შესაბამისი წესით დადგენილ დოკუმენტებს. შესაბამისად, სპეციალური საცნობი ნიშნით და სადგომით სარგებლობდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფრო დიდი რაოდენობა. აქედან გამომდინარე, საცნობი ნიშნით სარგებლობის უფლების შეზღუდვა მხოლოდ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და იმ წრით, რომლებსაც ქვედა კიდურის ამპუტაცია აქვთ დადგენილი, ბუნებრივად გამოიწვევს მოსარგებლეთა შემცირებას, რაც, თავის მხრივ, გაამარტივებს სპეციალური პარკირების ადგილით სარგებლობას. ამდენად, სადავო

დადგენილებით გათვალისწინებული შეზღუდვა წარმოადგენს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ადეკვატურ საშუალებას.

შემდეგი საკითხი, რომელიც მოცემული დავის ფარგლებში უნდა გაანალიზდეს, არის ის, თუ რამდენად წარმოადგენს დასახელებული მიზნის მიღწევის პროპორციულ საშუალებას სადავო დადგენილებით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვა. ამ თვალსაზრისით, მხედველობაშია მისაღები ორი გარემოება. უპირველეს ყოვლისა, მოპასუხემ უნდა წარმოადგინოს იმის უტყუარი მტკიცებულება, რომ ქალაქში შექმნილი გადატვირთული მოძრაობის ფონზე, მკვეთრად გამოხატულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს რეალურად გაურთულდებათ პარკირების სპეციალური ადგილებით სარგებლობა. გარდა ამისა, მსჯელობის საგანია, თუ რამდენად გააჩნია საკრებულოს იმის ექსპერტული კომპეტენცია, რომ გაარკვიოს თუ ქმედობაუნარიანობის შეზღუდვის სიმძიმის რა ინტენსივობა შეიძლება წარმოშობდეს სპეციალური პარკირების ადგილით სარგებლობის უფლებას.

ზემოაღნიშნული პირველი გარემოების თვალსაზრისით, მხედველობაშია მისაღები, რომ მოპასუხის წარმომადგენელი, თავის 2018 წლის 23 მაისი N 03-031814336 წერილში, მხოლოდ ზოგადად საუბრობს, რომ დადგენილების სადავო დანაწესის გავრცელებამ ჯანმრთელობის უფრო მსუბუქი დარღვევების მქონე პირებზე, „... არსებული რეალობის პირობებში შესაძლოა რიგ შემთხვევებში გარკვეულწილად შეზღუდოს და ხელი შეუშალოს იმ პირთა წრისათვის მინიჭებული უფლების შეუფერხებელ რეალიზაციას, რომლებიც ... ფაქტობრივი მოცემულობებიდან გამომდინარე უფრო მაღალი ხარისხის მზრუნველობას საჭიროებენ...“. სახალხო დამცველისთვის გაუგებარია თუ კონკრეტულად რა ემპირიულ კვლევებს ეფუძნება მოპასუხე მხარის აღნიშნული მოსაზრება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ წერილში საუბარია მხოლოდ „რიგ შემთხვევებში გარკვეულწილად“ შეზღუდვასა და ხელის შეშლის შესაძლებლობაზე, რაც უფრო მეტად წარმოადგენს ვარაუდს და ვერ გამოდგება უფლების ასეთი ინტენსიური შეზღუდვის ობიექტურ საფუძველად. ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მოპასუხე მხარემ ვერ დაასაბუთა, თუ რა განსაკუთრებულ და გარდაუვალ საჭიროებას წარმოადგენს განმცხადებლისთვის დამახასიათებელი ფიზიკური პრობლემის მქონე პირისთვის სპეციალური პარკირების ადგილით სარგებლობაზე უარის თქმა.

შემდეგი საკითხი, რომელიც ასევე უნდა გაანალიზდეს, არის ის, თუ რამდენად აქვს საკრებულოს ექსპერტიზა, განსაზღვროს შესაძლებლობის შეზღუდვის რა ინტენსივობა განაპირობებს სპეციალური პარკირების სადგომით სარგებლობის საჭიროებას.

„სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ძირითადი ამოცანაა ადამიანის ქმედობაუნარიანობის შეზღუდვის ხარისხის განსაზღვრა და აქედან გამომდინარე შესაძლებლობის შეზღუდვის გამომწვევი მიზეზის, გადამოწმების ვადისა და მომდინარეობის დროის დადგენა, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა *სოციალური დაცვის სხვადასხვა სახის განსაზღვრა*.

იმავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად კი, სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის წამყვან პოზიციად ითვლება განსაზღვროს პირის სამედიცინო და სოციალური სტატუსის დარღვევა ან მისი დაკარგვის ხარისხი, გამოავლინოს მათი შენარჩუნების უნარი და კომპენსაციულ-ადაპტაციული შესაძლებლობები, რომელთა რეალიზაცია ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სამედიცინო, პროფესიულ და სოციალურ რეაბილიტაციას, საზოგადოების სრულფასოვან წევრად გახდომას.

როგორც განხილული საკანონმდებლო ნორმებიდან ირკვევა, ადამიანის ქმედობაუნარიანობისა და, შესაბამისად, შესაძლებლობის შეზღუდვის ხარისხის განსაზღვრა საკმაოდ კომპლექსური საკითხია, რომელსაც იმავე კანონის მე-5 მუხლის თანახმად, საფუძვლად უდევს კლინიკურ-ფუნქციონალური, სოციალურ-საყოფაცხოვრებო, პროფესიულ-შრომითი და ფსიქოლოგიური მონაცემების შეფასება, რასაც, თავის მხრივ, ახორციელებს სამედიცინო დაწესებულება, რომელიც დადგენილი წესით ახორციელებს სამედიცინო საქმიანობას.

შესაბამისად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის, მათ შორის, სპეციალური პარკირების ადგილით სარგებლობის უფლების მინიჭების საჭიროება უნდა განისაზღვროს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად, ყველა ზემოაღნიშნული მეთოდების გათვალისწინებით, შესაბამისი ექსპერტული კომპეტენციის მქონე პირების მიერ.

ამრიგად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა იმ პირისათვის (გარდა იმ პირებისა, რომლებსაც ქვედა კიდური აქვთ ამპუტირებული) სპეციალური პარკირების ადგილით სარგებლობის უფლების ჩამორთმევა, რომლებსაც შეუძლიათ მანქანის მართვა, უფლების შეზღუდვის ინტენსივობის თვალსაზრისით, წარმოადგენს არაპროპორციულ ღონისძიებას.

### **3. დასკვნითი ნაწილი**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველი ადგენს, რომ განმცხადებელი ზ. კ.-ს მიმართ ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციას შესაძლებლობის შეზღუდვის სახის ნიშნით.

საქართველოს სახალხო დამცველი, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ 21-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, მე-20<sup>1</sup> მუხლისა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, რეკომენდაციით მიმართავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს:

- ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესი განსაზღვროს იმგვარად, რომ სპეციალური საცნობი ნიშნის მიღების შესაძლებლობა დაკავშირებული იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სპეციალური სადგომით სარგებლობის ინდივიდუალურ საჭიროებასთან.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,